



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492217511

თარიღი:24/06/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 80

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2021 წლის IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2021-2022 წელს კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

1 დეკემბერს ჩვენი სამსახურის მხარდაჭერით საკონცერტო დარბაზ "ივერიაში" ჩატარდა სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის "თეთრი ტალღა"-ს მიერ სპექტაკლი „გამარჯობა სოხუმო!“. სპექტაკლზე დასწრება უზრუნველყოფილი იყო კოვიდ რეგულაციების სრული დაცვით.

3 დეკემბერს წყალტუბოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე აღინიშნა. წყალტუბოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ინკლუზიურ ცენტრში მოეწყო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, სადაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა ბენეფიციარებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

15-16-17 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა სპორტის ოსტატის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წყალტუბოში დამაარსებელ კედირ ჯიმშელიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ბრ/რომაულ ჭიდაობაში. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა წყალტუბოს, ქუთაისის, ბორჯომის, ხობის, საგარეჯოს, გურჯაანის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ხაშურის გუნდები სხვადასხვა წონით კატეგორიებში.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

16 დეკემბერს წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. ჩვენი სამსახურის ორგანიზებით მოეწყო სხვადასხვა აქტივობები. მოწვეული იყო ბარაბან შოუ, რომლებმაც ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში მოაწყო მუსიკალური მსვლელობა. ქალაქის მთავარ ნაძვის ხესთან მეწარმეების მონაწილეობით გაიმართა საახალწლო საგამოფენო სივრცე. დღის ბოლოს

ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით ჩატარდა საახალწლო საზეიმო კონცერტი. სადამო დასრულდა ფოიერვერკით.

25-26 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენის შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა წყალტუბოს, ზესტაფონის, ქუთაისის და ლენტეხის გუნდები სხვადასხვა წონით კატეგორიებში.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

28 დეკემბერს ჩვენი სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში მოეწყო მარტოხელა დედებთან შეხვედრა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა შობა-ახალი წლის დღესასწაული მიულოცა ქალბატონებს და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

29 დეკემბერს ჩვენი სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში მოეწყო შეხვედრა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ მოქალაქეებთან. მათ გადაეცათ სიგელები და სიმბოლური საჩუქრები.

30 დეკემბერს ჩვენი სამსახურის ორგანიზებით წყალტუბოს სპორტის სასახლეში მოეწყო წარმატებულ სპორტსმენებთან შეხვედრა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა წარმატებულ სპორტსმენებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და ჯილდოდ ფულადი პრიზები გადასცეს.

30-31 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმართველობამ დამდეგი ახალი წელი მიულოცა ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებს და ტკბილეულის კალათები გადასცა.

ჩვენი სამსახურის ორგანიზებით შესყიდული იქნა საბავშვო საახალწლო ტკბილეული, რომლებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმართველობამ გადასცა ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებას“, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის და დღის ცენტრ „ჩვენი სახლის“ აღსაზრდელებს, ასევე საახალწლო საჩუქრები გადაეცა მაღალმთიანი სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს.